ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ახლაც გვეტყვიან აქ დგომა არ შეიძლებაო?

№ 23 თბილისი დეკემბერი 1963

# ნიანგი

გამოცემის 41-ე წელი. ფასი 20 კაპ.

1.3.63

# ჩემი მეზობელი

ცხოვრობდა ივანე უაზაროვი (ღმერთმა ულხინოს მის სულს) მეცხრამეტე საუკუნეში, ჰყავდა ერთი ვაუი, სახელად აკოფი და უყვარდა აკოფს მამამისი და, რატომაც არ ეყვარებოდა, როცა სხვა სიკეთესთან ერთად, ამაგდარმა მამამ საყვარელ პირმშოს ხარფუხში 1860 წელს სახლიც აუშენა და ეზოც დაუმშვენა.

ცდილობდა აკოფი, როგორმე გამოეხატა მამამისისადმი სიყვარული და დაარჭვა ერთ-ერთ ვაუს ივანე და ჰყავდა ივანეს უფროსი ძმა გარეგინ და უყვარდათ ძმებს ერთმანეთი, ერთი მეორის აუგი არ წამოცდენიათ არასოდეს. შეირთეს ცოლები და დნებოდნენ შაქარივით ერთი მეორის მოყვარული რძლები.

1940 წელს, სახლების ინვენტარიზაციის დროს, მიადგნენ უცნობი პირნი ლორთქიფანიძის ქ. № 12-ში მდებარე სახლს და იკითხეს:

— ვისი აშენებულია სახლი?

— ივანესი! — უპასუხეს ძმებმა.

— რომელი ივანესი?

— უაზაროვის.

„სახლის პატრონი ივანე უაზაროვი", — მოკლედ ჩაიწერეს აღმრიცხველებმა, არც მამის სახელი იკითხეს და არც აშენების დრო. ხელად მორჩნენ საქმეს.

ეს ამბავი დავიწყებას მიეცა. გავიდა წელი და დაიწყო ომი, რომელმაც ერთი მეორეს დააშორა მოყვარული ძმები. ივანე ფრონტზე დაიღუპა, ოჯახს მხოლოდ მრავალჯერ დაჭრილი და დაყრუებული გარეგინი დაუბრუნდა.

1952 წელს გარეგინ უაზაროვმა მოითხოვა სახლის ნახევარი იურიდიულად მის საკუთრებად ეცნოთ. ამასვე მოითხოვდა მისი რძალი მარია აბუაშვილიც. ..ჩემი მეუღლე ფლობდა სახლის ნახევარს სარდაფით და ნაკვეთით". ..იმისათვის, რომ სახლი ჯერ კიდევ არ არის გადაფორმებული.

— გაისად ჩემს ქმარს ვეღარ ვნახავ!

— როგორ, შორდები?

— არა, „ლოკომოტივი" გადავიდა „ა" კლასში და სულ სტადიონზე იქნება...

გთხოვთ გააფორმოთ სახლის ნახევარი სარდაფით და ნაკვეთით ჩემზე, მარია სტეფანეს ასულ უაზაროვზე, დაბადებული 1913 წ. 14 მარტს.

თანახმად სასამართლოს მოთხოვნისა, გადაიქექა არქივი, მონახულ იქნა ტექაღრიცხვის ბიუროს 1940 წლის ჩანაწერები და გაცემულ იქნა ცნობა, რომ სახლი ეკუთვნის ივანე უაზაროვს. ამან მადა გაუღვიძა მარია აბუაშვილს.

— სახლი მთლიანად ჩემია! — წამოიძახა უეცრად გახარებულმა.

— ნამდვილად შენია! — დაუდასტურა ადვოკატმა დათუაშვილმა.

და დაიწყო „ომი", რომელმაც ინვალიდ გარეგინ უაზაროვს ნამდვილ ომზე არანაკლები წამება მოუტანა.

1952 წლიდან დღემდე ქ. თბილისის რაიონული სახალხო სასამართლოები არჩევენ და ვერ არჩევენ ორი საცოდავი ოთახის მფლობელთა საქმეს. იწერება ქაღალდები, იხარჯება თანხები, იფლანგება დრო, ცდებიან მოწმეები, ბეზრდებიან სასამართლოს მდივნები, ემატება ტომებს ტომები, ენას ივარჯიშებენ ადვოკატები, საჩივრების წერაში ვარჯიშდებიან განაწყენებული მხარეები და ყველაფერ ამას საფუძვლად მხოლოდ ის უდევს, რომ ტექაღრიცხვის ბიუროს აჩქარებულმა მუშაკებმა 1940 წელს პაპა ივანეს სახლი შვილიშვილ ივანეში ვერ გაარჩიეს.

მაგრდება მხარეთა საჩივრები ათასნაირი საბუთებით, ხოლო საუკუნის წინათ აგებული ოროთახიანი სახლი უყურადღებობით იფიტება, იშლება, ლპება, რადგან მათი მეპატრონეები სახლის შეკეთებისათვის საჭირო თანხებს ადვოკატებს ახარჯავენ და დღეებს სასამართლოებში აღამენენ.

— მოვიგებთ. — ამხნევებენ აბუაშვილს ადვოკატები...

— მოვიგებ, მაშ არა! — გულს იიმედებს აბუაშვილი, საჩივარს საჩივარზე წერს და ეშუქრება მაზლს, — შვიდი წელი გატარე, შვიდ წელს კიდევ გატარებ, საშველს არ მოგცემ, სიბერეს წაგიმწარებ, ოღონდ მე ჩემი გავიტანოო.

მაგრამ, ერთ მშვენიერ დღესაც, დარი დადგა გარეგინ უაზაროვის ქუჩაზე, კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლემ არავაშვილმა ისეთი დადგენილება გამოიტანა, რომ არათუ ავი არ ეთქმის, წყალი რომ არ გაუვაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი: სამართლიანი, მტკიცე, საბჭოთა კანონიერების რკინის ლოგიკით დასაბუთებული. დანახული იქნა უტყუარი, უბრალო, ადამიანური სიმართლე და ახი წლის წინათ პაპა ივანეს მიერ აგებული ოროთახიანი სახლი რძალ-მაზლს შორის სამართლიანად განაწილდა.

ამით თითქოს ბოლო უნდა მოღებოდა „რძალმაზლიანს", მაგრამ ისევ მოიქუფრა ღრუბელი უაზარიანების სახლის თავზე. საიდანღაც გამოჩნდა თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 1960 წლის „ივნისის 10 დღეს" მარია აბუაშვილის სასარგებლოდ გაცემული სამემკვიდრეო მოწმობა და ისევ დაინიშნა სასამართლო, ისევ ახმიანდნენ მხარეები...

მოემზადნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკები საბრძოლველად, აფუსფუსდნენ ერთმანეთის საგინებლად ნათესავები, მჭუხარე სიტყვების საოქმელად წამოიმართნენ ადვოკატები და იქუხა კიდეც, მაგრამ არა სასამართლოში, არამედ ლორთქიფანიძის ქ. № 12-ში, ჩაინგრა უამთასვლისაგან დაუძლურებული, სასამართლო პროცესებზე უბადაღებული, უყურადღებოდ, ღვთის ანაბარად მიტოვებული სახლი...

გადარჩა მხოლოდ მრავალტომიანი სასამართლო საქმე, რომელსაც სასამართლოს მუშაკები ხუმრობით „რძალმაზლიანს" ეძახიან.

თბილისის ზოგიერთ სასამართლოში წლობით ტრიალებს „რძალმაზლიანის" მსგავსი თითიდან გამოწოვილი საქმეები. ისინი ინსტანციიდან ინსტანციამდე გადმოდიან, იბერებიან და სქელდებიან, რთულდებიან და ირევიან. და ყველაფერი ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ვიღაცას სიხარბე მოერევა, ვიღაცა ამღვრეულ წყალში ხელის ფათურს დაიწყებს, ვიღაცა კაპიკს გამოეკიდება და ათასებს დაკარგავს, რომელიღაც ადვოკატი მოგებას დაეხარბება, მხარეებს წააქეზებს, წაახუბებს, და აუტკივარ თავს ძალად აატკივებს.

რა ევალება ადვოკატს? ადვოკატის უპირველესი მოვალეობა ის გახლავთ, რომ იგი ჭეშმარიტების დადგენაში დაეხმაროს მართლმსაჯულებას, კანონით გათვალისწინებული სიმართლით დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები, ერთი სიტყვით, სიმართლის დადგენას შეუწყოს ხელი და არა ის, რომ უფრო არივდარიოს ისედაც არეული საქმე, შეცდომაში შეიყვანოს მართლმსაჯულება, თეთრი შავად მოაჩვენოს და შავი თეთრად, წააქეზოს უსამართლობის გზაზე დამდგარი მხარე.

ჭეშმარიტება ყოველთვის მარტივია. სიმართლე ერთია, ოღონდ მისი დანახვაა საჭირო და არა ძალად არევა და გაბუნდოვანება.

ოცდაექვსი კომისრების სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში კიდევ სამჯერ გადაიდო „რძალმაზლიანის" საქმე. სამი ნაპრალი კიდევ მოემატა ლორთქიფანიძის ქ. №12 -ში კედლებჩანგრეულ სახლს, დანგრეული სახლიდან გამოქცეული გარეგინ უაზაროვი დღეში სამჯერ შესთხოვს ბუნების ძალას თოვლისაგან თავის შეკავებას, რადგან მცირე სიმძიმეც კი მთლიან ქვის გროვად აქცევს ნახევრადდანგრეულ შამაპაპეულ სახლს. იქნებ თოვლის მოსვლამდე გაირჩეს საქმე... იქნებ ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს ის დავა, რომელშიც არც პაპა ივანეს მიუძღვის ბრალი და არც კიდევ შვილიშვილ ვანოს. იქნებ გადარჩეს მთლიან დანგრევას ადვოკატების ჯინაზე ოროთახიანი სახლი ლორთქიფანიძის ქ. № 12-ში.

ვ. კახელიშვილი
ჟარაშოტი

# სკოლა ოჯახურ ატმოსფეროში

ზნაურის რაიონში პატარა ბავშვიც რომ გააჩეროთ და კითხოთ, ყველაზე კარგი სოფელი რომელიაო, იმწამსვე გიპასუხებთ —ერედვიო და მერე ამის დასამტკიცებლად გეტყვით, რომ ერედვში არის კულტურის სახლი, კლუბი ხუთასი კაცისათვის, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკები, პურის საცხობი, მაღაზიები, სასადილო, საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა ორსართულიანია და ქვიტკირისგანაა ნაგები, რომ სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, და მართლაც ასეა, ერედვი ჩინებული სოფელია.

არის ერედვში საშუალო სკოლაც და მეტად ორიგინალურიც. სკოლას აქ ერთი შენობა კი არ უკავია, როგორც ყველგან, არამედ ორი. აქედან ერთი შენობა ოდესღაც ვინმე თავადს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე კოლმეურნეობას ცხვრის სადგომად ჰქონდა გამოყენებული. რა თქმა უნდა, აქ ცუდი არაფერია, თუკი ვიგულისხმებთ, რომ სკოლის დირექცია საკმაო გამჭრიახობას გამოიჩენს და ყოფილ თავადის ბინაში ისტორიის გაკვეთილებს ჩაატარებს, ხოლო ცხვრის სადგომში კი ზოოლოგიისას. უეჭველია, ასეთი მეთოდით ჩატარებული მეცადინეობა იქნება თვალსაჩინო სწავლების საუკეთესო ნიმუში.

აქ კიდევ სწავლების ერთი პროგრესული მეთოდია დანერგილი. კლასებს შორის ისეთი სიფრიფანა კედლებია, რომ ერთი ოთახიდან მეორე ოთახში ბუზის გაფრენაც კი ისმის, რომ არაფერი ვთქვათ მასწავლებლის ხმაზე. ასე რომ, მოსწავლეს საშუალება ეძლევა ერთდროულად მოისმინოს გეოგრაფიისა და ბოტანიკის გაკვეთილი.

სკოლაში მოსწავლეები ღებულობენ არა მარტო ცოდნას, არამედ იძენენ ცხოვრებისათვის საჭირო თვისებებს, ინვითარებენ გამძლეობას. ერედვის სკოლა ამ მხრივაც თითით საჩვენებელია. საკმარისია პატარა ქარი, რომ საკლასო ოთახი ღუმელიდან გამოსული ბოლით გაივსოს, საკმარისია პატარა წვიმა, რომ საკლასო ოთახში წვიმა ჩამოვიდეს, და ასე ბოლსა და წვიმაში იძენენ ცოდნას.

ერედველი მოსწავლეები საოჯახო საქმიანობასაც პრაქტიკულად ეცნობიან. საქმე ისაა, რომ საკლასო ოთახის უქონლობის გამო, ერთ-ერთი საკლასო ოთახი მოთავსებულია კერძო პირის პ. ბერუაშვილის ბინაში. ბერუაშვილის რძალი გაფორმებულია დამლაგებლად და ეძლევა ხელფასი ოთახის ქირის ნაცვლად, მის მოვალეობაში შედის მხოლოდ მისი ოთახის დაგვა-დალაგება. ასე რომ, საკლასო ოთახში იქმნება ოჯახური ატმოსფერო, რის უნებლიე მოწმენიც მოსწავლეები ხდებიან.

ფიზკულტურის სწავლება ერედვში კულმინაციამდეა აყვანილი, მეცადინეობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, უშუალოდ სასაფლაოზე, სიგრძეზე ხტომა საფლავის ქვიდან საფლავის ქვამდე და სხვა.

ზნაურის რაიონში პატარა ბავშვიც რომ გააჩეროთ და კითხოთ ყველაზე კარგი სოფელი რომელიაო, იმ წამსვე გიპასუხებთ — ერედვიო.

**ს. ცოტნიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ჭუმბურიძისა

**თვალხუჭუნა ტიკინას ახალი ვარიანტი.**

# რაიონულ ფურცლებზე

...რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ბორბალოს წყალსაზიდი ავტომანქანა გრდ-42-84 (მძღოლი გიორგი გაბრიელის-ძე მაისურაძე) მარშრუტით „ბორბალო-თბილისი და უკან“ წყალს კი არ ეზიდება, არამედ კოლმეურნეობის ექსპედიტორ გიორგი მიხეილის-ძე მაისურაძეს დაატარებს.

...რომ გრუზგლავენერგოს სამშენებლო-სარემონტო კანტორის მძღოლ ვლადიმერ ერვანდის-ძე აბგაროვს თვითმცლელ გრვ 55-12-ით კერძო მშენებლებთან ღამღამობით ხრეში მიაქვს და, თუ მუშებს ვერ მოურიგდა, გაბრაზებული რომელიმე ეზოს კედლებს გაარღვევს, უაჩაღივით შევარდება შიგ და, თუ მისი მანქანა რომელიმე ხემ არ გააჩერა, ხრეშიან-მანქანიან-საკუთარ თავიანად უფსკრულში გადაეშვება.

...რომ მენახე მორდეხის-ძე დათიკაშვილმა, მცხოვრებმა მცხეთის ქუჩაზე № 19-ში, მსუბუქი მანქანა „ვოლგა“ პიუ 02-48 რუსეთში შეიძინა, მერე გადაცვალა გრხ 05-07-ზე და ღამღამობით საბალტუროდ ფახეტიალობდა ხახევრადმთვრალ მდგომარეობაში, მართვის უფლება ერთი წლით ჩამოერთვა, მაგრამ მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და ისევ იარა და იარა, მერე ისევ „გამოიჭირეს“, ახლა მანქანა დაულუქეს და ეზოში დგას. ცუდი არ იქნებოდა მენახეც რომ გვენახა უფასო დასასვენებელ „სახლში“.

...რომ თბილისის ელექტროშედუღების ქარხნის მძღოლი იარადინ კულიევ იასინ პროდან-ოღლი 25 სექტემბერს გორგასალის ქუჩაზე „პობედით“ გშ 56-81 დაეჯახა შემხვედრ „პობედა“ გხ-33-82-ს. ადრეც ჰქონდა დარღვევები, მიეწერა სამსახურში, სამუშაოზე ნუ დაუშვებთო, მაგრამ უფროსებმა მანქანა არ დააყენებინეს და იარადინ კულიევ იასინ პროდან-ოღლის ასე უთხრეს: იარე, სადაც გინდა და რამდენიც გინდა, გზა ვარდებითა გაქვს მოფენილიო.

...რომ ოგანეზ გალუსტის-ძე ოგანეზოვი, მცხოვრები არდონის ქუჩა № 22-ში, „ვოლგით“ გრხ 16-82 შემხვედრ მანქანას დაეჯახა ლენინის მოედანზე, ავტოინსპექტორებს არა და არ დაემორჩილა, ატეხა აყალმაყალი, ვაიუშველებელი და დავიდარაბა და მანქანის ერთი ნომრით რომ დააშავა, კვალის დასაფარავად მეორე აიღო და ახლა რომ ეთიც ჩამორთმეული აქვს და მეორეც.

...რომ ავტოსატრანსპორტო კანტორა № 1-ის ტაქსის მძღოლი სურენ მნაცაკანის-ძე ამირბეგოვი ტაქსის მანქანით „ვოლგა“ გრგ 98-23-ით ისე დაატარებს მგზავრებს, რომ მრიცხველი ჩართული არა აქვს და ასე აცხადებს ჩემი მრიცხველი ჩემი ჯიბეაო და რომ ამ მძღოლს ზედმეტსახელად ტექნიკური სახელი „ეიკლიორა“ ჰქვია და რომ მის მიერ ჩადენილი დარღვევები ერთ თაბახ ქაღალდზე არ დაეტევა.

...რომ ქ. თბილისის ქალაქის აღმასკომის სანიტარულ-ვეტერინალური განყოფილების მანქანა პპ-15-69-ს დროდადრო განყოფილების მუშაკები გადაჰყავს მთვრალ მდგომარეობაში — მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების შალვა სოლომონის-ძე ლაღიევის და ირაკლი გრიგოლის-ძე პაპაშვილის ურთიერთმონაცვლეობით და, თუ ვინმემ რომელიმე მათგანს წესრიგისაკენ მოუწოდა, თანამშრომლების მხარდაჭერა უთუოდ აქვთ: წესრიგისაკენ მომწოდებელს ურჩევნია, სხვის საქმეში არ ჩაერიოს და საკუთარ ყბებს მოუფრთხილდეს...

**ი. ჩოფიკაშვილი**

ნახ. ირ. გორდელაძისა

— ერთ სახლს რომ მეორე მივუმატოთ, რამდენი იქნება, ვინ მეტყვის?

— მამაჩემი, მასწავლებელო!

# ინანეტეზობის ძალ

ირო მშვენიერ დღეს პორფილე ჩირგაძე საკმაოდ მოხრდილი კომბინატის დირექტორად დანიშნეს. ვერ გეტყვით, პორფილეს უფრო გასახარ ახალმა თანამდებობამ თუ მისი ნათესავ-ნაცნობები. იმ დღესვე ეკისხეწენ, რა ერქვა ცხონებულ ჩამბარმოს და პორფილეს შაშინე პორფილ პორფილ დიმიტრაკიჩად იქცა. ის, ვინც აღრე ჩვენელებრივ ესალმებოდა პორფილეს (ან ზოგ კარ ესალმებოდა), ახლა ტანსაცმლის ისეთ ზრდელ ილეთს აკეთებდა მისალმებისას, რომ ცხელინი მიწას ეხებოდა.

— პორფილ დიმიტრაკიჩ შესანიშნავი ხელმძღვანელია!..

— პორფილ დიმიტრაკიჩი იდეალური პატრონეებია!.. — აკოცნენდნენ პორფილეს

გაეიდა დრო და პორფილეს სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო ეკან დამწყრა. ე. ი. დაეკეთეთეს, დირექტორის კაბინეტიდან გამოპარძანეს და ამავე კომბინატის მომარაგების უფროსის კაბინეტში შეაბრძანეს, აქეა შენი ადგილი. შეეცალეს პორფილეს თანამდებობაც და მისი ნათესავ-ნაცნობებიც შეიცალნენ. მარალია, ისევ ახსოვდათ მისი მამის სახელი (მოამზადება მაინც მოამარაგებაა) ამ-ია! ზოგიერთნი აქებდნენ ეიდეკ, მაგრამ მისალმებისას მიწას ცხვრით ალარაკენ არ ეხებოდა.

არც მომარაგების უფროსად ვაარჩეს პორფილე დიდხანს, შენ საკუთარი ოჯახის მომარაგებას ენდენით და ისეც ეკან დამწყრა. ე. ი. დაეკეთეთეს, უბრალო ადამიანებად გადაიყვანეს.

ახლა როგორ ხედავენან პორფილეს მისი ნათესავ-ნაცნობები?

ჩვენ ვერ ვეტყვით. ესალმებიან (ან ზოგ არ ესალმებიან). ალარავინ არ აქებს და, რაც მთავარია, ყველან დაივიწყა მისი ცხონებული მამის სახელი.

შ. ბარამაკაშვილი

# ჩვენი ოჯახის ერთი საღამო

— რაება „ალკოტქიეთი" იცელის ჯემარეს აი ქალი!.. მე ვარ ასთე გამაბოხერეთეთ, თეარა, ყველას ეე ადგი სამეელი! — თქეა ცახალელულ-მა ელეენემ და ტელეფონზე ეარაზე მიაჩერდა.

— ეკლდა ხე ეკიანეს ჩემი ელენე! არც შენ ბარ მალალ ეილ ნრომ ვეიოქი, ეიდეე ეგიყიდი: ახლა, ხომ იცი, არა მაკეს!...

— ინანეზ არ ბაქ. არ ბაქ-თქეა. ლენინზე კარგად შონილოთ?! ჩანის სტალენის ტკერსეკ?!

— რას ეკტერეკეე ელენე, რანაკ ეკილ სახლში მომაკეს დი, თე წელიწადში ერთხელ ორ ბოქა ლენინ დაგლეკ, ხან ბაგიტ ბეეგნენ, ხან...

— ბაკეტ! ეკეკემ! ნელი საპატიეცემელო შენა მაყეხარ! ვინ რაში ენნდებარ, ნეტა?! — ეანაკეთ-თარა შეტყეა

ოემერი, ჩვენი ერთადერთი ეაკიშვილი, ტელეეიზორს ეუსის ყურეშეალაკეტებდა.

— ოიდეე, რაფრა აეზეკეკენს პიანინოს, ანა პალაგ! ნაბე. ოედოკო, შენეე ენდა ბარონნო მუსიკაზე, — თქეა ელენემ და თავზე წამოადგა თემერს.

— მაგას ხატგა ეფრო ენერგეზა და ჯობდა ხატგის წრეში ვეეტარებინა, — ეეერჩე მე

— ოედოკო, პიანინო არ ბინდა, ხატგას. ეინაწეადი, რაკ! — გამოთქეა ეეკი თემერმან.

— მე ეიეკი, რასაც გაისწავლი! ენა არ თქეა, თეარა, ეეერეს ალაბეე ზედ! აპა, ინსტრუმენტეტ მეინნეკ სახლში და ბუნაკა არ ისეზეკ! ლომ! მაგრ ბაკლია, სინეე ფამანენტლა ამწაკლოს თაკის პარდაპარენეო ლალამ! მეეიკა და მე არ! ოაგარი ეეშარაკე შენ ხარ, აკეე ინმეენი ვინდა გამეიცეთო! — ეკლე მოთბარიალდა ელენე.

— ოედოკო, ხაგეკაკ წრეში ეიეკი, ეეხეკეეეში! — არ ბეგტაკა რაკაკა ეეერენ?! ოაგარე ეეერ ჩანს ტრეზა კარაკეიოკეს არ მეიხსაგს, ისე თქეკენ ბენ ბ ბაბოკი არაფერი!

— ხო, ეკი, სადილ მიხედე, ბეეკო. ახლა ეშაა!...

— მეიკი, ოეიკ, ოაო. ეეკლის ჩამოშლმეკი ატეეთბატეო?

— ელენენ. ეომბიკანე სადილი, თე მოვაკეკ. ნოეოე ეეპაბნე ალარ ბეკეკეეთეა?!

ელენენ ეეამოდა და ეეეთის ეეშედეკ ეაშბარეეეოოდან გამოეკონენდა, თან ეკამბალეკარდნენი ეეკაი გამოოკანა.

— ალეკ, ა, ეენი ბადამეკდე! ომენენ მალაპარაკე, სანამდე ოლა არ დამაშეკეეეე! ამბის ახლა ძალიეე ალარ შეკაშა! — თქეა და ბარეეი ბეეეოდა.

ბარეკალ ელენენს ძახალი ეომეშაა: ეეერშას უბმობდა და თან ეოეეს უეფაკენენდა ქეაპ.

# სტუმრად აგსტრაქციონისტის ოჯახში

— შეხედე, ანტონ, როგორ მოგწონს ცხენის სურათი? ხო! ხო! რა ცხენია!

— სადაა, ბიბი, ცხენი? ცხენი კი არა, ხელი ეურია ვიღაცას და მელანი დაუქცევია ტილოზე!

— აჰ! არ თქვა მაგი, მართალი ვარ ხედავ ცხენს? ბიბო, მეც ვერ ვხედავ, მარა მხატვარს არ ვაიგებინო, ჩამორჩენილიაო იტყვის.

— კი, კი, მართალი ხარ, რა ცხენია, ბიბო! კი, მარა, ეგ ოხერი, ცხენს კუდი მიდგეს?ბი სელ ეკან ქონდა და ამ მხატვარმა რატომ გამოიცა შუბლზე?

— ასე ეგონდა, ალბათ, მხატვარს!

— მაგ კი ეგხედავ, მაგრამ, ერთი ცხენს ჩკოთხ, სად ეურქვენია კუდი?

— ნახე, რა აზვარი!

— ბიბო! ოჰ! გადვირავ კაცი, რა გამაცინე, ჰა, ჰა, ჰა. — „ქალაქშეიელ სტაფილოზე"

— ეესა, ბიბო, ცხენია?

— დედა, დედა, ჩაეა ალურძანია ომა, ომ, ომ, რა ომამაში იქნებოდა. წარმომიდგენია?

— აქეთ წამომიდ!

— რას ნიშნავს ეს ნახატი?

— როგორ ეეეოდანარიგით კითხულობ? ვერ ხედავ. რა ლამაზი მზის ჩასვლაა!

— არ გადამრიო კაცი! სად ხედავ მზეს, ან მის ჩასვლას?

— რას ნიშნავს ჩამორჩენილი გემოვნების რომ ბარ! ვენიალური მზის ჩასვლა!

— ეეკოდესი მზე არ განახა ღმერთმა, კაცო, ეგ მზეა? საქართველოში მზის ეეეი რა. ხაგ ვინახავს ლერწკი მზე და ისიც კალთაზე ფარმაში. მაგი, თუ ეგ ფიდეკერდები კაცი, ნაეს ეკეგი. წაიკითხე ერთი რა აზეერია!

„ეგბეკრიფიდეები", ეეთ არ ოოდეკ ეკეერდები მაკის დამხატავს. სადაა, ბიბი? ეს ხერხია, ან ეეები, ან კაცი? სელ ცალ-ცალკეა დაბნეული! რა მოხიკავს ეეეი? რა აპეკობს, გადავიარე კაცი!

ეკეკალზე გამოჩენილ ადგილას ფიდი ხის ეეენი ეეკდო და ზეიდ ეზეკარა: — ეეეა!

— რა ეზა, ბიბო, ან ეკნენმა ჩკეკანერი, თე ომა ხარ, გამაკეკენენ?

— მაგ ეკნენმა კი არ ეზა, შე ეეკეეეო, მაკაზე მხატვარმა გამოხატა თავიისი ეეეა.

— ეკეკ, ომაო, მაგ მხატვარი ეფრო იმარჯვებდა, თე ბუხარში შეადგა მაკ ეკნენს. სამი ფიდე მაინნეკ ეეეოოდა გასათბობად

— ეეა, რას იტყვი, ომობილო?

თინა ფოლოდიანი

# თან გაღაყვებით

— ა-ა-ა-. ტრიფონს ვახლავარ, ტრიფონს, ოცდახეთი ცხენინანი! — მიესალმა სეფასტი.

— სალამი ჩვენს ძმას! — უპასუხა ტრიფონმა და მეგობრების ხელები ერთმანეთს მაკრად შეეფლუდანენ.

— ხომ კარგად, ტრიფონ ჩემო? —

— მაკრის ჯანაშე, ჩემი სეფასტი, ეეერჯერობით ბამა-ეამის მადა არ მაკლია.

— ეფრი მოგკარ, ტრიფონ, სახლზე რაღაც გაკეხირებენო, რაშია საქმე?

— ვაიკრეალ, კაცო!... ენახს ძალალი ანა აკეხ. რასაკეკ ეეზეი, იმაა ოტკეეის და ქალალდიც ყეეელფერს ოტანს. კაცო, დაიეეეებინალ. ორსართულიანი სასახლეა ეალეთ ბანაკ ტრიფონმა. რომეელი სახლიანი ეეაბინეთ?

— პირდაპარ ეკამკეკეთ. ეკეკ, ეიილაკეა ჩეზმ სახლიანეს? რაკომ ეკარაკეეა ჩეზმ სიკეკეეეს? თე შენ და ბარიფაკთი აკეკ, ოეეეთნაკეკ ეაიეეეთ, მე დაეეეშალეთ თე?.. ბაკ რომ არაფრის შენ არ ჰკონდეს, ჩემი რა ბრალია!

— რა ეკნაკ კაცმა! აეერ მეეე ბაკ ფიდეეი არ ეკარ, ჩემი ტრიფონ, რაკ სახლზე ეე ორომბარალილი ფიდიეეეთ, ბაკ შემეეეე ისე ეკარ დამბიეეეთ, ჩვენსაკენ მობაკეკალ პორტფეელიან კაცს რომ დაეკიანაბაკ. გალი ამოეკარხნაზე მაკეკ, ზეკოსნა ჩემთან

— ხეეკანაკ-ბეეკენ!

— ეეეკანაკ ჩემი, ზეკოლბერნა ეკაეანინეკ ხომ იეკნონ?

— კი, კაცო! ეს ის ფეეიდერნა არაა, ამბერეკი ყლაპანინძის სიდეიდრის ეკეერნენ რომ ლაზოთინანდ გამოთეეკა და „ბრაკეკამერენ" ეეემოსაბა?

— ყზრაფდ ის გაბლავეთ.

— რა ფაკიმთაო ფეეიტერნაკ? — დაინტერესდა სეეკაკი.

— კაცმა ზეკალეთი რაღაც ეკეესოთახიანი ახალი აეშენა, სამეეეებლო მა-



ნ. ბ. ფორტოლანი

— ახლაც იტყეეიან, ამოდენა სახლში მარტო ერთი ოჯახი ცხოვრობს?

— დიდი ხანია, ჩვენი ეკონომ პალატაში არ შემოსულა!

— სად ს

# სახელითა ხალხისა

სწორედ იმ დღეებში, როდესაც სამხრეთვიეტნამელი დიქტატორი სინედრიონის წინაშე წარსდგა, მისი მეგობრები ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის ფურცლებზე დასტიროდნენ მას: „ნგო დინ დიემი, რომელმაც ამდენი გააკეთა ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისათვის (!), ცოტა უკეთესი ხვედრის ღირსი იყო“-ო.

და ტანჯული დიემი წმინდანად შერაცხეს და დაიწერა ახალი სახარება:

„ესე არს წიგნი ცხოვრებისა ნგო დინ დიემისა, ძმისა ლი სინ მანისა, ძისა პენტაგონისა. მოვიგონოთ წმიდა სახელი მისი!..“

მამა აბრამის ბატკანი იყო საბრალო დიემი და ამიტომაც გახდა პრეზიდენტი...

...სახელითა მამისათა...

მას სწამდა ღმერთი და უფრო მეტად დოლარი უყვარდა. უყვარდა ძალაუფლება და სიმდიდრე, რაც არ ესმოდათ ამ ღვთის გლახებს. და აჯანყდნენ ისინი, და მოისურვეს კეთილდღეობა არა მარტო ერთი კაცისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. აბა რა გაეგებოდათ მათ საღვთო წიგნისა, სადაც წერია: „არა წინააღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურმალსა შენსა მარჯუენასა, მიუპყარ მას ერთკერძოისა“. და იძულებული გახდა სამხრეთვიეტნამელი დიქტატორი მიემართა დახმარებისათვის შორეული ძია სემისათვის. სემიცა და დიემიც ერთი სარწმუნოებისა გამოდგნენ და ამიტომ პირველმა კეთილგანწყობილებით მოუსმინა მეორეს და აღუსრულა წადილი: გაუგზავნა სულიერ ძმას სრულიად უწყინარი იარაღი (მომწამლავი ქიმიკატები მცენარეულობის გასანადგურებლად, ნაპალმის ბომბები და სხვა ამგვარი) და თან მიაყოლა „სულ რაღაც“ 15.000-მდე „მრჩეველი“ და „ოდნავ“ მეტი ფრთოსანი ანგელოზი — ჯარისკაცი (რასაკვირველია, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით, საქმე ეხებოდა ვერტმფრენებისა და თვითმფრინავების ფრთებს).

ღვთისმოსავ დიემს ეგონა, ხალხი არ მოიძულებდა, თუ არა „კომუნისტების მიერ შემოგზავნილი ვეშაპი“ — ვიეტკონგი. და დაიწყო მრავალწლიანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. აჯანყების ალი იმდენად მოედო მთელს ქვეყანას, რომ დიემს ყველგან კომუნისტები ელანდებოდა. და ბოლოს, ბუდისტების დროშებიც წითლად მოეჩვენა და აკრძალა მათი გადმოფენა. ეს იყო პირველი საკმაოდ მწვავე კონფლიქტი ბუდისტებთან, რომლებიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (80%) შეადგენდნენ. ბუდისტებმა ურჩობა გამოიჩინეს და მაშინ დიემმა დასავლეთში უკვე ნაცადი ხერხი გამოიყენა: ღვთაება ბუდას მიმდევარნი კომუნისტების აგენტებად გამოაცხადა!

დიემი მოელოდა, ერთ-ერთ თეთრ სახლში ამას აღტაცებით შეხვდებოდნენ. იქ კი ეყოთ ჭკუა იმისათვის, რომ თავი შეეკავებიათ აღფრთოვანებისაგან. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით რომის პაპმა პავლე VI-მ დაჰგმო დიემის მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთვიეტნამელი დიქტატორი კარგა ხანს სამაგალითო კათოლიკედ ითვლებოდა.

ღმერთო ზეციერო, როგორ აირია ქვეყანა! თანამორწმუნენიც კი განუდგნენ დიემს — ამ თითქოსდა ყოვლისშემძლე პრეზიდენტს „ღვთის წყალობით“. დიემის გადადგომას მოითხოვდნენ...

...სახელითა მამისათა....

მაშინ დიემმა უკანასკნელ ხერხს მიმართა: ზეციერი არსება მადამ ნიუ აფრინა თვით სამყაროს (რასაკვირველია, იმ სამყაროს, რომელშიც თვით დიემი ცხოვრობდა) მბრძანებელთან (თეთრ სახლში მცხოვრები „ღვთაებაც“ ხომ კათოლიკე იყო!). მაგრამ ვინ არის ეს ქალბატონი ნიუ, რატომ მაინცდამაინც არჩევანი მასზე შეაჩერეს? იმიტომ, რომ მადამ ნიუსი პრეზიდენტის ძმის ნგო დინ ნიუსის ცოლი გახლდათ), ხოლო, მეორე მხრით, აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს პროფესიონალური აგენტი.

„ღვთაებამ“ მეტისმეტად ცივად მიიღო მადამ ნიუ. საოცარი ამბები ხდებოდა! დიემი მიუღებელ პიროვნებად მიიჩნიეს, რადგანაც „მისი უგუნური მოქმედება აძლიერებდა კომუნისტური ვიეტკონგის მოძრაობას“ („ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“). აი რაში ყოფილა საქმე!

და გადაწყვიტეს ვაშინგტონში: „უმჯობეს არს, რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა“. იქაც ხომ კითხულობდნენ სახარების ძველ გამოცემას.

დიემის „შესამოწმებლად“ საიგონში გამოისტუმრეს „მთავარანგელოზი“ აშშ-ის ფლოტის მთავარსარდალი წყნარ ოკეანეში ადმირალი ფელტი. „მთავარანგელოზის“ ჩამოსვლის მეორე დღე ნგო დინ დიემისა და მისი ძმის უკანასკნელი დღე გახდა. პირველ ნოემბერს საიგონში სამხედრო გადატრიალება მოხდა. მას სათავეში გენერალი დუონგ ვან მინი ედგა. მან იმავე დღესვე განაცხადა, რომ „მეტი ენთუზიაზმით განაგრძობს ანტიკომუნისტურ ბრძოლას“.

ასე მოისურვეს „ღმერთებმა“ (არა ოლიმპზე, არამედ ვაშინგტონში) ძველი დიემი შეცვალეს ახალი „დიემით“!

...სახელითა მამისათა...

სამხრეთ ვიეტნამში კი არაფერი შეცვლილა.

მაგრამ შეიცვლება! უთუოდ შეიცვლება! — ასე-სწამთ უბრალო ვიეტნამელებს. ...სახელითა ხალხისათა...

ედ. მენაგდე

---

ნახ. ჯ. ჯანელიძისა



— ადამიანურად გთხოვ და, იცოდე, იქამდე არ მივალ, რომ მუხლებზე დაგიჩოქო და ისე შეგეხვეწო.



# მელიას ამაგი

ინახავს კუდის ქიცინი,
იღრიჯება თუ იცინის.
მელიას კუდი გრძელი აქვს
ეშმაკობაში ბრძენია,
რომ თავიც გამოაჩინოს,
ვინმე ხომ უნდა აცინოს.
მაოცებს როგორ გადარჩა
და აცდა ბევრჯერ ხაფანგი,
მისი კუდივით კარგა ჩანს
მისივე „დიდი ამაგიც“

ილ. არუშიძე





როგორც მკითხველი ხედავს, ამ ფოტოსურათებზე გამოსახული ორი ქუჩა მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდება ერთიმეორისაგან. სხვა შემთხვევაში ძნელი იქნებოდა მათი ერთმანეთისაგან გამორჩევა. ერთ-ერთ სურათზე თქვენ ხედავთ სენაკის ქუჩას ოქტომბრის რაიონში, რომლის შეკეთება ქალაქის საბჭოსთან არსებულ კეთილმოწყობის სამმართველომ 1960 წელს დაიწყო. იმის გამო, რომ ქუჩის მცხოვრებლები დიდი ხნის განმავლობაში მიჩვეული იყვნენ ტალახის ზელას, კეთილმოწყობის სამმართველომ საჭიროდ ჩათვალა ანგარიში გაეწია ამ გარემოებისათვის და, მოსახლეობის გასართობად, შეუკეთებელი დაეტოვებინა ქუჩის ერთი ნაწილი. სურათზე თქვენ ხედავთ, რომ მათ ცდას უქმად არ ჩაუვლია. მოსახლეობა შესანიშნავად ატარებს დროს ტალახში ჩაფლული ტრანსპორტის ამოსათრევად.

მეორე სურათზე თქვენ ხედავთ კრონშტადტის ქუჩის ტალახს, რომელიც თავისი მასშტაბებით ზღვას მოგაგონებთ. ტალახის ზღვა დიდი ხანია, რაც ამ ქუჩას ამშვენებს.

კარგი იქნებოდა, თუ ქუჩის მცხოვრებთათვის ქუჩის ბოლოს ფეხსაცმელები საწმენდი ჯიხური მოეწყობოდა. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ჯიხური წლის ყოველ დროში მთელი დატკირთვით იმუშავებდა და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩებოდა.

# ალიკი თუ ულა თქვენ...

ნახ. ლ. მართაშვილისა



№ 697
მიღებულია ..... 19
..... წელი 63

...რომ ქ. ქუთაისში, ლენინის მოედნის მიდამოებში, არსებობს ძველთაძველი კირის ქარხანა, რომელიც, კირის გარდა, უხვად ამარაგებს მოსახლეობას შავი კვამლითა და ჭვარტლით. ეს უკანასკნელი, ზენა ქარის საშუალებით, ედება ლენინის მოედანსა და მის გარშემო მდებარე ქუჩებს, შავად აფერადებს გამოფენილ სარეცხს და ხელს უწყობს სუნთქვის გაძნელებას. ამბობენ, რომ ახლო მომავალში გათვალისწინებული ყოფილა ქარხნის გადატანა, რისი დაჯერებაც მოსახლეობას არ სურს.

...რომ ამიერკავკასიის რკინიგზის დაბა წნორის თანამშრომლების ინიციატივით მაშნაარის ბაქანთან შექმნილია ხელოვნური ტბა, რომელშიაც, როგორც იტყობინებიან, ბეღურასოდენა კოღოები ბინადრობენ, ტბაში მცხოვრებ ცხოველებს საკვებით ბაქანზე მომცდელები ამარაგებენ.

...რომ სამგორის წყალსადენის სათავე ნაგებობის სანიტარული დაცვის ორგანოები უძლურნი აღმოჩნდნენ სანიტარული ზონიდან გაიყვანონ ამ ნაგებობის დირექტორის ძროხა, ღორები, ქათმები და სხვა ცხოველები, ვინაიდან ეს ცხოველები წყალგამწმენდ ნაგებობაში დადიან, შესაძლებელია, მომხმარებელმა ისინი წყალთან ერთად თავის ონკანებში იხილონ, რაც დირექტორის მატერიალურ ზარალს გამოიწვევს...

...რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ საჩინოს საავადმყოფო ორი წელიწადია უექიმოდ მუშაობს. ზუგდიდის რაიაღმასკომი აპირებს ამ მდგომარეობის ახლო მომავალში გამოსწორებას. ჯერჯერობით კი საავადმყოფო წარმატებით განაგრძობს უექიმოდ მუშაობას.

... რომ ხაშურის რაიონის სოფელ ალის სასოფლო საბჭოში, მდინარე ჭეხათხეულაზე არსებული ძველი ხიდი, რომელიც სოფელ ალს ცენტრთან და სხვა ახლომდებარე სოფლებთან აკავშირებდა, დაინგრა. მოსახლეობა ვარჯიშობს წყალში ტოპვაში. ვარჯიში წარმატებით მიმდინარეობს, რაც არ ითქმის ხიდის აღდგენის საქმეზე.

...რომ გორის რაიონის სოფელ ფერმასა და ჩანგილარში დიდი ხანია დაიწყო სინათლის გაყვანა, რაც დღემდე არ დამთავრებულა. იმის გამო, რომ სინათლის ბოძების ჩასასმელად ამოთხრილია ორმოები, მოსახლეობა დღემდე იმედს არ კარგავს, რომ ახლო მომავალში რაიონის ხელმძღვანელობა შეასრულებს დაპირებას და გაანათებს აღნიშნულ სოფლებს. გარდა ამისა, სოფელ ჩანგილარის მოსახლეობა მეტად კმაყოფილი იქნებოდა, რომ სოფელს თავისი ოთხწლიანი სკოლა ჰქონდეს.

უტექსტო ხუმრობა.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".

რედაქციის მისამართი: რუსთაველის ბრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 29/XI-1963 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5 პირობით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინი ქ. № 14. შეკვ. № 2623. უე 12237. ტირაჟი 40.000

63-487

ИНДЕКС 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომაძისა

იტალიასთან შეთანხმების საფუძველზე, ბუნდესვერის ნაწილებს განზრახული აქვთ კუნძული სარდინია გამოიყენონ რაკეტების გასაშვებად.

**სარდინული თევზების ახალი სახეობა**



არგენტინაში მოახდინეს ნაციონალიზა
ნავთის საწარმოებისა, რომლებსაც ამერი
შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფ
თა კონცესიები უწევდნენ ექსპლოატაციას.

**ხელის მოთბობის ნაცვლად ხელ**
**წვავს.**